№ 41
სამშაბათი, 23 თებერვალი, 1899 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1899

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 41
სამშაბათი, 23 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲓᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ.

შაბათს, 27 თებერვალს,
ᲒᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ ᲠᲔᲥᲘᲡᲞᲠᲝᲗᲐ
Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Კ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐ

Დ-ᲜᲔᲑ ᲔᲤᲔ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡ, ᲜᲐᲢ. ᲠᲔᲜᲔᲚᲘᲡᲐ, ᲔᲚ. ᲩᲘᲠᲥᲝᲕᲜᲘᲫᲘᲡᲐ, ᲑᲜ Ვ. ᲒᲣᲜᲘᲐᲜᲘ და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

ᲡᲣᲚᲗᲐ-ᲛᲮᲣᲗᲐᲕᲘ

დრამა ხუთ-სურათად თარგმ. დ. მესხის მიერ.

II

პირველად განახლების შემდეგ

ᲝᲮᲠᲔᲑᲘ

ფარსი 3 მოქმედ. გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი საბუნფასოა. დასწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ და Კ. ᲛᲔᲡᲮᲘ.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასსაში.

Y. YERMOREL
constructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა „ᲔᲙᲚᲘᲞᲐ“ და გოგირდის შესაყრელი მანქანა „ᲢᲝᲠᲠᲘᲢᲝᲠᲘ“. (10—10)

ᲛᲐᲑᲘᲐᲛᲐᲜᲘ
macclesfield
ერთად-ერთი წარმოადგენელი მოელის რუსეთისა და კავკასიისა.
Მ. ᲤᲐᲠᲘᲫᲝᲜᲝᲕᲘ. ტფილისში.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ს. ხავსსარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ვ. ᲛᲐᲥᲐᲠᲝᲕᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲘᲐᲜᲪᲘ.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
Ი. Თ. ᲨᲠᲝᲢᲐᲜᲘᲫᲔ—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
Ს. Შ. ᲙᲐᲠᲐᲯᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
Ს. Გ. ᲒᲣᲠᲯᲝ. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
Გ. Მ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
Ა. Ნ. ᲨᲐᲒᲜᲘᲫᲔ—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიერი და კანის სნეულებ.
Ბ. Ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ—6½—7 საათ.
ᲢᲠ. Ი. ᲠᲣᲓᲜᲘᲪᲙᲘ—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დარეკტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—Წ)

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲜᲝᲥᲐᲠᲘ

გამოცდილი და კარგი მცოდნე გასტრონომიულისა და სპბაკალეო ვაჭრობისა.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: „ᲨᲣᲥᲛᲐᲒᲝᲚᲝ“, ᲥᲣᲗᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ, სახლი თ. ᲨᲣᲠᲮᲜ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ. (6—Ნ.—5)

ᲔᲥᲘᲛᲘ

დიმ. კონსტანტინეს ძე ერისთავი (ოქროშვილდის ქ., ს. თულევრის № 40) იღებს ავადმყოფებს—სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი — დილის 10-დგან—1 საათამდის.
(7—20—5)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

დანიშნული იქმნა მაიოფოს ნაწილის მთავრობის უფროსი, შტაბს-კაპიტანი წიკლაური—ტუაფსეს ოლქის უფროსად.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: კოლეგიუმი სეკრეტრობა: ამეარ-კეკასიის რკინის გზის კონტროლიორის თანაშემწეს უფროსი ვილის ტ ტფილისის საკონტროლო პალატის მოხელეს კობალაძეს.

ვადაუვანილი იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კასტრის მოხელე თავ. ალექსანდრე ნიკარაძე—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კასტრაში.

ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** პეტერბურგიდგან გვაცნობინებენ, რომ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში 15-მდე ქართველი ამთავრებს სწავლასაო. ერთს მათგანს, ბ-ნს ი. ჯავახიშვილს იმ თხზულებისათვის, რომელშიაც წმ. ნინოსა და ანდრია პირველ-წოდებულის საქართველოში ქადაგებასა და მოღვაწეობას ეხება, ოქროს მედალი მიუღია.

*** 25 თებერვალს შიო მღვიმის მონასტრის დღესასწაულია. 24 თებერვალს მონასტრის ეკლესიაში ლოცვას ღამის თევით გარდაიხდის ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი, ხოლო მეორე დღეს წირვას გარდაიხდის სემინარიის რექტორის და ინსპექტორის თანამწირველობით. ამ დღისთვის თუ კარგი ამინდი იქმნება, ბევრი ხალხი ემზადება შიო-მღვიმის მონასტერში წასასვლელად. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თხოვნით 24 და 25 თებერვალს ყველა სახალხო მატარებელი გაჩერდება მონასტრის ბაქანთან.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ ქალაქის გამგეობის წევრად არჩეული მ. ს. შესტაკოვი ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მოადგილის მიერ დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაზედ. მ. ს. შესტაკოვმა გუშინ 22 თებერვალს ფიცი მიიღო და ამავე დღეს შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა 20 თებერვალს წარუდგინა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებას ალექსანდრეს ბაღში დაეთმოს მიწის ნაკერი ხასოფლო-სამეურნეო იარაღის საწყობის გასამართავად.

*** გუშინ, 22 თებერვალს, საბჭოს კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს შემოშავება დროებითის წესდებისა ქალაქში არხების გაყვანისათვის, წარუდგინა ქალაქის გამგეობას პროექტი დროებითის წესდებისა, რომელის ძალით ჯერჯერობით მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში უნდა გაკეთდეს არხები. ეს პროექტი წარედგინება საბჭოს მორიგ კრებას.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘ, ᲗᲣ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲕᲘ?

იყო დრო, როდესაც ქართველი თავისს ცხოვრებაში მისდევდა ანდაზას: დღევანდელი კვერცხი მირჩევნიან ხვალინდელს ქათამსაო. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ქართველმა არ იცოდა, მეორე დღეს ცოცხალი გამოიღვიძებდა, თუ მას საქროს გაამგზავრებდნენ ან ლეკები, ან სპარსელები, ან თურქები და სხვა მტრები, და დაიჩეჩებდნენ მთელს მისს საჩო-საბადებელს, მაშინდელს დროში მხოლოდ დღევანდელი დღე ეკუთვნოდა ქართველს, ხვალინდელი კი სხვის ხელში იყო, და რად უნდა გვიკვირდეს, თუ ძველი ქართველი დღევანდელს მცირე სიამოვნებას ამჯობინებდა სხვალინდელს დიდ სიკეთესა, დღევანდელი კვერცხი ერჩენა ხვალინდელს ქათამს. როდესაც ამისთანა უდიერი მდგომარეობა ხშირია და ხანგრძლივი რომელსამე ერის ისტორიულს ცხოვრებაში, ეს ცრი არ შეიძლება არ გადაეჩვიოს ზრუნვას ხვალინდელს დღისათვის, არ იცხოვროს მხოლოდ დღევანდელის დღით, არ მიეჩვიოს დაუდევრობას, დაუზოგველობას, ბედოვლათობას. სწორედ ამ ვვარს მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო მეცამეტე საუკუნიდგან მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდე და აკი ამიტომ გაგვიჯდა ძვალსა და რბილში ქართველობას უზრუნველობა მომავალზე და მონაობა წუთიერის სიამოვნების წინაშე.

დრონი იცვალნენ და ახლა ჩვენ ალარ გვაწუხებენ უწინდელი გარეშე მტრები; მაგრამ ჩვენ-კი უცვლელად ვრჩებით. მიზეზნი გაჰქრნენ, შედეგი კი ისევ არსებობს და ჰმოქმედებს; სათავე ავადმყოფობისა დაშრა, მაგრამ სენი კი ისევშეგვრჩა ჯ გვაწუხებს. ხვალინდელი და ზეგინდელი დღე ახლა სავსებით ჩვენს ხელშია; მაგრამ ისე-კი ვიქცევთ, თითქო იგი უწინდებურად სხვის ხელში იყოს, თითქო ხელ გამოღვიძების იმედი არა გვქონდეს. დღესაც, როგორც ძველ დროში, ვამჯობენებთ დღევანდელს კვერცხს ხვალინდელს ქათამსა, და აი სწორედ აქ არის ერთი მთავარი მიზეზი ჩვენს სიღარიბისა.

დროა შევიგნოთ ჟამთა ცვლილებანი, ჩვენც შევიცვალნეთ შესაფერად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი სული და მომავლიანი ერი. დროა აწინდელის წამის მაგიერ გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა, პატარა დღევანდელს სიამოვნებას ვამჯობინოთ ყოველთვის ხვალინდელი დიდი სიკეთე, ხსენებული ქართული ანდაზა წალმა მოვაბრუნოთ და შევცვალოთ სიტყვებითა და საქმით ასე: ხვალინდელი ქათამი მირჩევნიან დღევანდელს კვერცხსო.

სწორედ ამ დედა-აზრით უნდა განიზომოს და გადაიჭრას ერთი საზოგადო საკითხი, რომლის შესახებ ამ ჟამად დიდი ბაასია გამართული ქართველს საზოგადოებასა და ლიტერატურაში ჩვენი მხნე მოღვაწის ბ-ნი ანტონ ფურცელაძის თაოსნობით და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რაგვარი მოხმარება უფრო სასარგებლო იქნება ქართველ თავად-აზნაურობისა და ქმეკნისათვის იმ თანხისა, რომელიც ამ ცოტა ხანში დაუბრუნდებათ უკანვე საზნაურო ბანკიდგან მის დამფუძნებელთა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, დამფუძნებელთთა რიცხვი აღემატება 2000 ოჯახსა ანუ 10,000 სულსა, ხოლო მისაღები ფული უდრის 100,000 მანეთსა. ეს ფული, ერთის რომელსამე სამერმისო, საშვილი-შვილო საქმეზედ მოხმარებული, დიდს ნაყოფს, დიდს სიკეთეს მოუტანს თავად-აზნაურობას და ქვეყანას. ათი-ათასად-კი დანაწილებული და დაფიზნილი გაწყალდება და გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი, და ბევრი-ბევრი თუ წამის სიამოვნებას გამაატარებს პატრონებსა.

საზოგადო მოთხოვნილება ჩვენს თავად-აზნაურობას ბევრი აქვს, ბევრი ნაკლულევანება აწუხებს, ბევრი დაბრკოლება ეღობება გზაზედ. რომელს საზოგადო ნაკლს უნდა დაედოს ეს ფული წამლად?

ჩვენა გვგონია, რომ აქ არც ბევრი ფიქრი უნდა და არც ბევრი ბაასი. იმაზე უკეთესს საზოგადოებრივს დანიშნულებას, რომელიც ჰქონდა ამ თანხას დღემდის, ჩვენ ვერ მოვიგონებთ და ვერ დავასახელებთ. ამ თანხის სარგებელი, როგორც ყველამ უწყის, ყოველ წლივ იხარჯებოდა მოზარდის თაობის სასწავლებლად და აღსაზრდელად. ეს თანხა მთელის ოცის წლის განმავლობაში შეადგენდა ნეზა ყოფლობითს შეწირულებას, რომელსაც მეტად სანაქებო და სასიქადულო დასაშნულება ᲭᲚᲜᲓᲐ: დამბარებოდა სინათლის მოფენას ჩვენს ქვეყანაში.

არა გვგონია, რომ თავად-აზნაურობას დღეს ნაკლებად უჭირდეს სწავლა-განათლება, ვიდრე იგი უჭირდა გუშინ და გუშინ წინ. პირ-იქით, გუშინდელზე ბევრად მეტი ზრუნვა ᲭᲘᲠᲓᲐ ამ მხრივ. თუ ჩვენნი მეზობელნი წინად ხარგბით მიდიოდნენ განათლების გზაზედ, ახლა ცხენებით მიჰქროლავენ, და ჩვენმა აზნაურობამ რომ ურმის ტაატით იაროს უწინდებურად, უფრო დიდ მანძილზედ დარჩება უკან და მთლად გაირიყება.

*** აზრადა აქვთ წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლასთან, მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებით, გამართონ სასოფლო სამეურნეო გამოფენა.

*** კობიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ 20 თებერვალს, ღამე გუდაურსა და კობს შუა დიდი ზვავი ჩამოწვაო. იმავე დღეს საშინელი ქარ-ბუქი ამოვარდნილა, ისე რომ გზის გაწმენდა შეუძლებელი გამხდარა.

*** გზა ქუთაისსა და ონს შუა ბევრს ადგილას შეკრული დიდის თოვლის გამო. ზვავი ექვს ადგილას ჩამოწოლილა. ზოგან გზაზედ $1^1/_2$ საჟენის სიმაღლეზედ სდგეს თოვლი. გზის გასუფთავებას უკვე შესდგომიან.

*** „კავკას“ ქუთაისიდგან სწერენ, რომ დიდი თოვლის გამო ქუთაისსა და ხონს შუა გზა შეკრულიაო. ხონში გაგზავნილი ფოსტა უკანვე დაბრუნებულა.

*** როგორც გაზ. „კავკ.“-სა სწერენ, უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალაქ ტფილისს ნება დაერთოს გამოსცეს ორი საობლიგაციო სესხი: 500 ათასის მანეთისა—საყასბოს ასაშენებლად და 300 ათასს მანეთისა—ქალაქის ლომბარდის სამოქმედო თანხის გასაძლიერებლად.

*** როგორც იგივე გაზეთი იუწყება, კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგედ დანიშნული იქმნება სამკურნალო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ა. ი. სმირნოვი, ხოლო ამიერ-კავკასიის ოლგას საბებიო ინსტიტუტის დირექტორად—პეტერბურგის სამხედრო-საავადმყოფოს ასისტენტი ს. რ. ფიშერიო.

*** „კავკასი“ იუწყება, რომ ტფილისის პოლიციმეისტერს დაეევალა ამიტომ ბანკიდგან მისაღები ფული მისმა დამფუძნებლებმა უნდა მიუცილებლად მოახმარონ ფეხის აჩქარებას სწავლა განათლებაში.—

მაგრამ მოახმარებაც არის და მოხმარებაც. დიდი ფული კაცმა შეიძლება ისე უხერხულად და უხეიროდ მოიხმაროს კარგს საქმეზედაც, რომ პატარა სარგებელი ნახოს; ისიც შეიძლება, რომ პატარა ფულით დიდს სიკეთეს ეწიოს. უნდა ყოველთვის გახსოვდეს, რომ ქართველები ღარიბნი ვართ ფულით, მდიდარნი დაუმაყოფილებელის მოთხოვნილებით, ნაკლებულობით. ჩვენ მაშინ გამოვალთ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან, როდესაც პატარა ფულს ისე ოსტატურად მოვიხმარებთ, რომ დიდი ნაყოფი მოვიმკოთ.

ქართველ თავად-აზნაურობას აქვს თავისი საკუთარი და ძვირფასი დაწესებულება—სააზნაურო სკოლა, რომელიც ახლავე შესდგება თერმეტის კლასიდგან, თუ პარალელურად განყოფილებებს სათვალავში არ ჩავაგდებთ. ამ სკოლაში სწავლობს ექვსასამდე ქართველი ყმაწვილი. სკოლას არა აქვს დღემდე თავისი საკუთარი და შესაბამი შენობა და ამის გამო შეეიწროებულს მდგომარეობაში არის ყოველ მხრივ. რათა ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ყმაწვილებისა ადადგეს ჯეროვანს გზას და ამ ქართველთა დაწესებულებამ მოიტანოს ის დიდი სიკეთე, რომელიც მისგან მოსალოდნელია, მიუცილებლად საჭიროა საკუთარი სახლი, აგებული თანახმად ახლანდელის გიგიენისა და პედაგოგიისა.

ამისთანა სახლის აშენებას გზაზედ ეღობება მხოლოდ ერთად-ერთი მიზეზი—ფულის უქონლობა. ეს მიზეზი თითქმის უძლეველი იქნებოდა, რომ ფულის ჩუქების გარეგდ ხსნა არ იყოს. მაგრამ ეს ისე არ არის. აქ სრულიად საკმარისია დროებითი სესხი. ნასესხის ფულით სკოლის სახლი აშენდება, დაგირავდება ბანკში და მასესხებლებს ისეე უკან დაუბრუნდებათ თავისი საკუთარი ფული.

ამ გამსესხებლის როლი უნდა იკისრონ სააზნაურო ბანკის დამფუძნებელთ, რომელნიც უკან მიიღებენ 100,000 მანეთს ფულსა. ეს ფული სრულიად საკმარისია სკოლის სახლის შავად აგებისათვის, რომლის შემდეგ სახლს ყოველი ბანკი მიიღებს გირაოდ, და დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ დამფუძნებელთ მათი თანხა. ეს პირველი სიკეთე იქნება.

მეორე, უფრო დიდს სიკეთეს შესძღენის თავად-აზნაურობას ხსენებული ფული, თუ იგი სახლის აშენების შემდეგ უკვდავ თანხად დაიდება იმ აზრითა და პირობით, რომ მისის სარგებლით ყოველ წლივ იზრდებოდნენ სტიპენდიატებად ნიჭიერნი და ღარიბნი შვილნი ჩვენის ქვეყნისანი. მაგრამ სად? იმისთანა სასწავლებლებში, რომელთაც შეუძლიანთ გამოუზარდონ ჩვენს ქვეყანას ახალის ტიპის ქართველები.

საქმე ის გახლავთ, რომ ახლანდელი ტიპი განათლებულის ქართველებისა ძალიან მდარე არის. მათ აკლიათ გონებრივი ძალა, ცხოველი ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა და ეხერხებათ მხოლოდ ერთად-ერთი საქმე—კანცელარიაში სამსახური, აფიციალურ ქაღალდების წერა, მოხელეობა, „ჩინოვნიკობა“. მაგრამ ბალი ეს არის, რომ ეს „ჩინოვნიკობაც“ ბოლოს წლებში დაემგზავსა იმ მაღლა დაკიდულს ძეხვებს, რომელსაც მშიერი კაცა ვერა სწვდებოდა. სამს ქართველში ერთი ძლივსლა ეღირსება ხოლმე კანცელარიის ფულს, იღოცხლეთ, ის ადგილად დაიბრეკეთ და ჩვარა ჩაეკვანონ ბოდიტიკაში.

*** ადგილობრივ რუსულ გაზეთებს მეტეორზურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ გენერალ-მაიორი პოტაპოვ დანიშნულ იქმნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-სასტრატეგიო განყოფილების უფროსად.

*** ტფილისის სიქალაქო ტელეფონსიგან დამზღვევ საზოგადოების დირექტორი ი. ნ. მარგოზოვი თანამდებობას თავს ანებებს.

*** ტფილისის პოლიციმეისტერმა დაავალა მე-3 ნაწილის ბოქაულს ზამბი მიიღოს სეენსარიის ეიწრო ქუჩის დასაწმენდად და დასასუფთავებლად.

*** სოფელ მუხრანიდგან სწერენ „ახ. მამ.“-ს, რომ 17 თებერვალს ქსანკასა და მუხრანს შუა „ბოსელდასვეში“ ჭურვებმა გაბმრეკეს ერთი ებრაელი კაბრალი. ებრაელს ფული მოუკრეფია და ტფილისში წამოსულა ელფის გასასტუმრებლად. დასასვლებულ სვეში სადამეს 7 საათზედ დაჭრეკდნა ორი კაცი. ამ კაცებს წაუძეგეთ ებრაელი და წაუთიმეთ 1660 მანეთი. ამას გარდა ებრაელის სუფრანიდგან ამოუღიათ 300 მანეთის ვერცხლეულობა.

*** 17 თებერვალს, ვიდაც ბოროტგამზრახველთ მოტაუეებით წაართეს „მეტროპოლის“ სასტუმროში ერთს ოქრომჭედელს, ლეკს, 301 მანეთი. 16 თებერვალს ლეკთან ბვრად ჯაბარ-ფოფდ-ოღლისთან მისულა ერთი ქართველი, რომელიც წინადაც დადიოდა თურმე ამასთან ნივთების სასყიდათ, და გამოუცხადებია, რომ პოლიციის საიდუმლო აგენტი ვარო. ამასთან უთქვამს, ერთი ყალბი ფულის მჭრელი უნდა შეეიპყრო და დამეხმარეო. ყალბი ფული შენ შეისყიდე და ამისათვის ციდან სახუკურს მიიღებო. ლეკს ჯერ უარი უთქვამს. მეორე ღღეს მისული იგივე ქართველი და ამასთან ერთად ვიღაც კაცი პოლიციის მოხელის ფორმაში გამოწყობილი. როგორც იქმნა დაუყაბულებიათ ლეკი და უთქვამთ, ბევრი ფული წამოიღე ყალბის ფულის მჭრელთან, შედი, შეეკვეტე და ამ დროს ჩვენც მოვალთ და შეეიპყრობთო. ლეკს აუღია 301 მანეთი და გაჰყოლია უცნობებს. „მეტროპოლოლთან“ შუაშაბანდში ადგილის შოვნას. უმეტესობა ამ შუაშაბანდის გარეგ რჩება და რადგან მხოლოდ იმ შუაბანდისათვის არის მომზადებული, ვარდება საცოდავს მდგომარეობაში, და... ხშირად თავისს ჯაფრსა ყრილობს ქართულის ლიტერატურის საწყალ მკითხველებზედ, რომელთათვის აცხობს ცარიელ-ტარიელ წერილებსა.—

თუმცა ბლომად გვყავს აღზრდილნი ჩვენნი, რუსეთში, საფრანგეთში და გერმანიაშიაც; მაგრამ აქამდის არც ერთს არ გამოუჩენია იმდენი ცხოველი ცოდნა და უნარი, რომ გაეკვლია ახალი გზა, და ეჩვენებინა საკმით, მაგალითით, რა ნაირად უნდა იმოქმედოს ნასწავლმა ქართველმა, რომ თავი დაახწიოს კანცელარიის ყმობას, გახდეს ბატონი ჩვენის მდიდარის ბუნებისა, გადაპკიოს იგი დაუშრობელ წყაროდ ქონებისა და იცხოვროს ღირსეულად, დამოუკიდებლად და სასარგებლოდ ქვეყნისათვის.

მაგრამ განა ქვეყანაზედ ამ ჟამად მოიპოვება სკოლა, რომელსაც შეუძლიან ამისთანა ღირსეული შვილნი აღგვიზარდოს? დიახ, მოიპოვება. სულ თხუთმეტი წელიწადი არ იქნება, რაც ინგლისმა შექმნა სრულიად ახალის ტიპის სკოლა, რომელშიაც განაზორციელა სავსებით ძველთა ბერძენთა ნატვრა: სადა სუფთა სად სხეულშიო: ეს ახალის ტიპის სკოლა საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალის ადამიანურ გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისის თავისს იმედსა, თავგაზიანობას, დარბილოსმას და ამზადებს სულითა და ხორცით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ პუნებისა და უკეთესმართის ცხოვრების წინაალმდეგ. ეს ნაყოფი ინგლისურის სკოლისა იმდენად ცხადია ახლა ყველასთვის, რომ თვით საფრანგეთიდგან და გერმანიიდგან პედაგოგები თავისს შვილებს სასწავლებლად ბოლოს წლებში ინგლისში ჰგზავნიან. თუ გნებავთ შეიტყოთ, რა პროგრამით და სისტემით, რა მოწყობილობით მოაქვს ინგლისის სკოლას ამისთანა ბრწყინვალე ნაყოფი, სხვათა შორის მოიპოვეთ წიგნი პობედონოსცევისა (Новая Школа), გადიკითხეთ გულ-დადებით და შეიტ-

---

*** ადგილობრივ „ტფილისელ“-ი იუწყება, მთავრობა ამ ახლო მომავალში შეუდგება რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან ციმბირსა, კავკასსა, და ამიერ-კავკასიაში რუსების გადასახლების საქმის მოწყობას. აზრადა აქვთ დაარსონ საგუბერნიო და საოლქო კომიტეტები, რომელთაც ადგილობრივ უნდა განაგონ ყველანი საქმეები, რაც გადასახლებას შეეხება.

— იმ კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი აქვს ფულის მოკრება ა. ს. პუშკინის ძეგლის ასაგებად, უკვე მოკრიბა 6,500 მანეთი.

— „Рус. Вѣдомости“-ი იუწყება, რომ ამ ახლო მომავალში საერო განათლების სამინისტრო შეუდგება იმის განხილვას, თუ როგორი პროგრამა იქმნას შედგენილი კავკასიის და ამიერ-კავკასიის იმ სკოლებისათვის, სადაც არა რუსნი სწავლობენო.

—სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ 1900 წელს მოიწვიონ მოსკოვში სრულიად რუსეთის აგრონომთა კრება. კრება 10—19 თებერვალს მოხდება.

— საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტში ლაპარა

უცხოეთი

—

საფრანგეთი. გაზეთები სიტყვა-ვად ახასიათებენ ახალს პრეზიდენტს, ემილ ლუბეს: ის თავდადებული ბურჟუა ეოფილა; დიდი წინააღმდეგია თუმცა სოციალისტების სწავლა-მოძღვრებისა და მუდამ სასტიკი დონისძიების მომხრე იყო რეგიოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. მაგალითად, ამან მხარი დაუჭირა: ახად კანონის გამოტეგმას ანარქისტების წინააღდეგ, კრძოში მუშების შეთქმულობის ჯერებთა მოსპობას, მუშათა ბირჟის დახურვას პარიჟში და სხ. 1892 წელს, როცა თითონვე იყო შინაგან საქმეთა მინისტრად, ბრძანება გასცა დაეტუსიდებინათ სებასტიანე ფორი რომელიმე ანარქიული წერილისთვის, და ეოველიეე ღონისძიება იხმარა, ორი წლით სიპერობილეში ჯდომა კარდაეწეფეტით ამისთვის.

— როგორც ეიტეთ, პრეზიდენტად არჩეეასთანავეგ, დიუშეიმ კანონეიის სამსახურიდგან კაკადგომის ქალალდი მიართეა ლუბეს, მაგრამ პრეზიდენტმა ეს თხოეეს არ მიიღო და სთხოეა დიუშეის, ისეე დარჩენილიეო ქეეეენის მპრთე�და. გაზეთების სიტეეგით, ეს ამის მომასწავებელია, რომ ლუბე ეეეეეფეეეში დიუშეის თანხმა, და, მისის აზრით, ამ არეულობის დროს ქეეენის მპრთეა-გამგეობას დიუშეიზე ეეეეთ კეერაეინ კეერ შესძლებსო.

— როგორც წინადაც გეეეონდა მოსსენებული, რესპუბლიკის პრეზიდენტს ეძლეეა წლიურად ერთი მეორეზედ (ჯამაგირად, სამოგზაურად, დღესასწაულებზე დასასწრებლად და სხ.) 1,200,000 ფრანკი. სიფრანგეთის გაზეთები სჯა-ბასაში არიან ამ ფეფლებიდგან ლუბე გადაანარჩენებს რასმე, თუ კეერო. რეა წლის კანმეეეთბაში პრეზიდენტად ეოფის დროს, კეეეეის რამდენიმე მიდიანი ფრანკი დეეზოგავს, მაგრამ ეს ერთის ეოფილა ეოფილა და ამის გამო კიდეეეე ჭკეტხეედნენ ფურმე. მარშალი მკ მეგანი ჯამაგრის კიდეეე თავისს ქონებიდგან უმატებდა, რადგან ძალიან მდიდრეულად უეეკრდა

ცხოეეგრეა. როცა სხვა და-სხვა კარეოეეების გამო სამსახურიდგან იქმნა იეი გადაეეენებული, მას ხეერობით ეეთქვამს: „მადლობა ღმერთს, სამ-ოთხ წელიწადს კიდეე რომ დაგრჩენიდიეეეი ელისეეს სასახლეეში, შემდეგ მხოლოდ ეეენსაით ეენდა მეცხოერანო“. ტეერი ისეთი ძენწი არ იყო, როგორც კრეეი, მაგრამ ამის ნახეეკრს მაინც ანარჩენებდა, რაც ეძლეოდა. კარნო არა თუ კეერაეეეს კეერ ეზოგავდა, პირ-იქით თავისასაც ადგდა ზეედ; ამას დიდი ეეეეეეა ჭკეონდა, რომელსაც წლიეეაეში 40,000 ფრანკი შეეეეჭეონდა. ეეკლიქს ეეორს თავისი საკეეკრო სახლიდგან 100,000 ფრანკი შეეეესადიოდა წლიურად და ამასაც ჯამაგრისან ერთად ჭხარჯავდა, რადგან ძლიერ ხეკეკეეეეიდად ეეეეკრდა ცხოეეგრეა.

—

გერმანია. ამის წინად გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ ამპერიის კანცლერი თავადი ჭოჭენლოე სამსახურს თავს ანებებს, და ამის აგიდამს პეტერბურგის ელჩი თავადი რადოლინი დაიეეკრსო. ეს ხმები ჩქარა ეესეფეეეედ იქმნა ცნობილი, მაგრამ ეხლა კეეკ. „Deutche Tag.“-ი ამასეე ამეორებს. გაზეთ „Berliner Tag.“-ის სიტეეეთ, ეს ხმები ეოეეკლასეე სამართლიანი მოკლეეეეეა. ამპერიის კანცლერი ერთობ ჯანსაღად და კარგს გუნებაზედ არის, პოლიტიკური მდგომარეობაც არ ეამეულებს მას სამსახურს თავი დაანებოს და ამიტომ „Deut. Tag.“-ის მიერ გავრცელებული ამბავი სამინისტრო კრიზისის შესახებ ეოკლად უსაფუძვლო არისო, ამბობს გაზეთი.

—

ოსმალეთი. ჩვენ მოსსენებული გეეეონდა, რომ ადანეულები სეო-ახლა ეეენ შეეერიანენ მაკედონიაეს და ადანაში ქრისტიანების სასარგებლოდ ცვლილებათა შემოღების წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშეეებლადო. როგორც ზოგიერთი გაზეთები იუწეებენ, რუსეთის ელჩი რჩება მიეცეა ოსმალეთის მთავრობისათეეს, რომ ადანეეეეეს ნებას ნუ მისცემთ კრებების გამართვისეს, თორემ ეს საშიში იქმნება

ეეეეეე

ირტყავს. ამ დროს სალამის პირველად მიმ-ცემი თითქმის შიშველი რჩება, რადგანაც ანაშეთში მატყლის ზარფალსა და სარტ-ყელის გარდა მცხოვრებნი სხვა ტანთ-საც-მელს არ იცმენ.

- ადრიკაზა სხვა-და-სხვა ტომების მეფენი და უფროსნი ერთანერთს რომ შეჰხვდებიან, სამჯერ ხელს მოუტკბერენ შუა თითს სალამის ნიშნად.

არაბი რომ არაბს შეხვდება, ასე ეუბნე-ბა: „ეჰმი ბეს-სალამა“. იარე მშვიდობითაო, მეორე უპასუხებს „ეშგა ალა ჰირ“—ბედნიე-რი გზა.

სამხრეთ საფრანგეთის მცხოვრებნი სადმე რომ მიდიან, ფეხთ-საცმელს იხდიან, გზაში არ გაცვდესო, „მაგრამ თუ მეფდელი ან მო-ჭალაქე დაინახეს მომავალი, იმ წამსვე ფეხთ ჩაიცმენ.

ჩინელები რომ შეხვდებიან ერთმანერთს, ერთი-მეორეს ეკითხება: „ჩი კოფანე?“—სჭამე თუ არა დღეს ფლავიო?

დანიელები ერთმანერთს ეუბნებიან: „ლეგ ველ“—კარგად იყავიო.

გერმანელი ამბობს: „ვას მახსტ დუ?“—რას აკეთებ? „ვიბეფინდენ ზიჰ?“—როგორა ჭარბობთ თქვენს თავს.

ინგლისელი ამბობს: „გაუ დუ იუ დუ?“—რას აკეთებთ? „გაუ არ იუ?“—როგორი ხართ. დღით ეუბნება ზეხვდრილ კაცს: „ბუტ მორნინგ“—დილა მშვიდობისა. საღა-მოთი: „გუტ ივინინგ“—საღამო მშვიდობი-სა. ღამე; „გუტ ნაიტ“—ღამე მშვიდობისა, ასევე ამბობენ ფრანგებიც. ოქრის ნაპირის დედაკაცნი ერთმანერთის მისალმების ნიშნად თმიდგან სავარცხელს იხსნიან და ამ დროს თმა ეშლებათ მხრებზე.

ბერძენი ეუბნება ნაცნობს: „ტი კონეის.“—რას აკეთებო?

უწინდელნი ებრაელნი ერთმანერთს ეუბ-ნებოდნენ: „შალომ ალეხომ“—მშვიდობა თქვენდა—მეორე უასუხებდა „ალეხომ შა-ლომ“—ეხლაც თუ ებრაელს შეჰხვდა დი-დის ხნის უნახავი ნაცნობი, იმასვე ეუბნება.

ინდუსი კაცს მისალმების ნიშნად წვერში ხელს ეაავლებს ხოლმე.

ჰოლანდიელი ეუბნება ნაცნობს: „ჰოგ ვორსტ